

ანტონენ არტო

წერილები სისასტიკეზე

(თეატრი და მისი ორეული, თავი IX, გალიმარი, 1938)

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ

გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი“ (n°4, 07-08 2020)

პირველი წერილი

პარიზი, 13 სექტემბერი 1932

ჟ. პ.-ს¹

ძვირფასო მეგობარო,

მე ვერ მოგცემთ დაზუსტებებს ჩემს "მანიფესტზე", რადგან ეს მას ელფერს დაუკარგავს. შემთხვევით მხოლოდ, ზოგადად განვმარტო ჩემი სათაური "სისასტიკის თეატრი" და ავხსნა, თუ რატომ ავირჩიე იგი.

ამ "სისასტიკეში" არ იგულისხმება არც სადიზმი, არც სისხლი, ყოველ შემთხვევაში - არა მხოლოდ ეს.

მე არ ვნერგავ მუდმივად საშინელებას. სიტყვა "სისასტიკე" უნდა განვიხილოთ ფართო მნიშვნელობით, და არა მატერიალური და მტაცებლური გაგებით, რომელსაც მას ჩვეულებრივ მიაწერენ. ამგვარად, მე მოვიტხოვ უფლებას, განზე მოვისროლო ენის ჩვეული გაგება, ერთხელ და სამუდამოდ გავტეხო ნაჭუჭი, დავამსხვრიო ბორკილი და, ბოლოს და ბოლოს, დავუბრუნდე ენის ეტიმოლოგიურ საწყისებს, რომლებშიც განყენებული ცნებების გასწვრივ, ყოველთვის კონკრეტული მნიშვნელობა მოიაზრება.

მშვენივრად შეიძლება, წარმოვიდგინოთ წმინდად სისასტიკე, ხორციელი რღვევის გარეშე. სხვათა შორის, ფილოსოფიური თვალსაზრისით, რა არის სისასტიკე? რაციონალური კუთხით, სისასტიკე ნიშნავს განუხრელობას, გადაწყვეტილების განხორციელების უღმობლობას, სრულ, შეუქცევად დეტერმინიზმს.

ჩვეულებრივი ფილოსოფიური დეტერმინიზმი, ჩვენი არსებობის გადმოსახედიდან, სისასტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ამოდ ანიჭებენ სიტყვა "სისასტიკეს" სისხლიანი განუხრელობის, სხეულებრივი ტკივილის მიყენებისკენ უმიზეზო და თავდაუზოგავი სწრაფვის მნიშვნელობას. როცა ეთიოპელი რასი დამარცხებულ მთავრებს უღელში აბამს და საკუთარ მონებად აქცევს, ის ამას არ აკეთებს სისხლისღვრისადმი უპირობო სიყვარულით. დიახ, სისასტიკე არ არის დაღვრილი სისხლის, წამებული სხეულის, ჯვარცმული მტრის სინონიმი. სისასტიკის გაიგივება ტანჯვა-წამებასთან საკითხის მხოლოდ უმცირეს ნაწილს წარმოადგენს. განხორციელებულ სისასტიკეში არის ერთგვარი აღმატებული

1 ჟ. პ. - ჟან პოლანი (Jean Paulhan, 1884-1968), ფრანგი მწერალი, კრიტიკოსი და გამომცემელი, "ახალი ფრანგული ჟურნალის" (NRF) მთავარი რედაქტორი.

დეტერმინიზმი, რომელსაც თავად წამების განმახორციელებელი ჯალათიც ექვემდებარება, და რომელიც მან, მოცემულ მომენტში, თავადაც უნდა აიტანოს. სისასტიკე, უპირველეს ყოვლისა, მკაფიოა, იგი ერთგვარი უდრეკი მიმართულებაა, აუცილებლობისადმი დაქვემდებარება. არ არსებობს სისასტიკე ცნობიერების გარეშე, ერთგვარი გამოყენებითი ცნობიერების გარეშე. სწორედ ცნობიერება აძლევს თითოეული ცხოვრებისეული ქმედების განხორციელებას სისხლისფერს, სისასტიკის ელფერს, ვინაიდან ცნობილია, რომ სიცოცხლე ყოველთვის ვინმეს სიკვდილია.

მეორე წერილი

პარიზი, 14 ნოემბერი 1932

ჟ. პ.-ს

ძვირფასო მეგობარო,
სისასტიკე არ არის ჩემი ნააზრევის დანამატი, იგი ყოველთვის მასში იყო, უბრალოდ, მე ეს უნდა გამეცნობიერებინა. სიტყვა "სისასტიკეს" მე ვიყენებ სიცოცხლის წყურვილის, კოსმოსური განუხრელობის და უღმობელი აუცილებლობის გაგებით, წყვილიადის შთანთქმელი ცხოვრებისეული მორევის გნოსტიკური გაგებით, გარდაუვალი აუცილებლობის მიღმა არსებული იმ ტკივილის გაგებით, რომლის გარეშე სიცოცხლე ვერ იარსებებდა. სიკეთე ნებაყოფლობითია, რადგან იგი ქმედების შედეგია. ბოროტება კი მუდმივია. როცა უჩინარი ღმერთი ქმნის, იგი ემორჩილება შემოქმედებითობის სასტიკ აუცილებლობას, რომელიც თავად მასზეა დაწესებული, და მას არ შეუძლია, არ შექმნას, ანუ - არ დაუშვას სიკეთის ნებაყოფლობითი მორევის ცენტრში ბოროტების მარცვალი, რომელიც უფრო და უფრო მცირდება და ინავლება. თეატრიც, როგორც უწყვეტი შემოქმედებითობა და ერთიანი მაგიური ქმედება, ამ აუცილებლობას ემორჩილება. პიესა, რომელშიც არ არის ეს ნება, სიცოცხლის ეს ბრმა წყურვილი, ყოველგვარი წინააღმდეგობის დამძლევი, თითოეულ ჟესტში, თითოეულ მოძრაობასა და მოქმედების ტრანსცენდენტურ ასპექტში რომ ვლინდება, უსარგებლო და შეუძღვარი პიესაა.

მესამე წერილი

პარიზი, 16 ნოემბერი 1932

ბ-ნ რ. დე რ.-ს²

ძვირფასო მეგობარო,
გამოგიტყდებით, რომ ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია შენიშვნები, რომლებიც ჩემი სათაურის მიმართ გამოითქვა. რადგან მგონია, რომ შემოქმედებითობა და

2 ბ-ნი რ. დე რ. - ანდრე როლან დე რენევილი (André Rolland de Renéville, 1903-1962), ფრანგი პოეტი, ესეისტი და კრიტიკოსი, ლიტერატურული ჟურნალის "ჰერმესის დღიურების" (Les Cahiers d'Hermès) დამფუძნებელი და არტურ რემბოს ნაწარმოებების პირველი სრული გამოცემის ხელმძღვანელი "პლუადის ბიბლიოთეკის" სერიით.

თავად სიცოცხლე განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული განუხრელობით, ანუ იმ ძირეული სისასტიკით, ყოველივეს რომ ნებისმიერ ფასად გარდაუვალი დასასრულისკენ მიაქანებს.

ძალისხმევა სისასტიკეა, ძალისხმევით არსებობა სისასტიკეა. როცა ბრაჰმა სიმშვიდიდან გამოდის და ყოფიერებამდე განივრცობა, მას იპყრობს ტანჯვა, რომელიც შეიძლება სიხარულის ჰარმონიკებს გამოსცემს, მაგრამ მრუდის უკიდურეს ზღვარზე, შემზარავ დაქუცმაცებაშიღა გამოიხატება.

ცხოვრების ქარცეცხლში, სიცოცხლის წყურვილში, სიცოცხლისკენ უსაფუძვლო სწრაფვაში არის რაღაც პირველყოფილი სიბოროტის მსგავსი: ეროსის ლტოლვა სისასტიკეა, რადგან იგი ანადგურებს შემთხვევითობებს; სიკვდილი სისასტიკეა, აღდგომა სისასტიკეა, ფერისცვალება სისასტიკეა, რამდენადაც არსად ამ დახშულ და წრიულ სამყაროში არ მოიძებნება ადგილი ნამდვილი სიკვდილისთვის; ამადლება რღვევაა, დახშული სივრცე სიცოცხლეებით იკვებება, ყოველი ძლიერი სიცოცხლე სუსტს სძლევს, ანუ შთანთქმავს მას იმ ხოცვა-ჟლეტაში, ფერისცვალებას და სიკეთეს რომ უწოდებენ. აღქმად სამყაროში, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, მუდმივად ბოროტება კანონობს, ხოლო რასაც სიკეთეს ვუწოდებთ, ეს ძალისხმევაა და შესაბამისად - ერთ სისასტიკეს დამატებული მეორე სისასტიკე.

ამის არგაგება ნიშნავს მეტაფიზიკის იდეების არგაგებას. და, ყოველივე ამის შემდეგ, დაე, ნუ მეტყვიან, რომ ჩემი სათაური შეზღუდულია. სწორედ სისასტიკით მკვრივდება საგნები და ხორცს იხხამს ყოფიერების გეგმა. სიკეთე ყოველთვის ზედაპირზეა, წიაღი კი ბოროტებაა; ბოროტება, რომელიც ბოლოს, შემცირდება, მაგრამ - მხოლოდ იმ უზენაეს წამს, როცა ყოველივე, რასაც ხორცი ესხა, მზად იქნება ქაოსში დასაბრუნებლად.